შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№23 (9.737)

20 – 25 ივნისი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გვ.3

დაზიანება თუ დეზინფორმაცია?!...

მოსავლის აღება დაიწყო

გვ. 5

გვ.3

რა მოხდა საკრებულოში?

სკოლებში სამეურვეო საბჭოები დაკომპლექტდა



გვ.2

გარდაცვლილი მშობიარის ოჯახს ექიმებთან პრეტენზია არ აქვს

გვ.5

მეხსიერებასთან დაკავშირებული 5 უჩვეულო ფაქტი

გვ.7

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 8 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

C M Y K

გიორგი კვირიკაშვილი – საქართველოს ევროპული არჩევანი, ეს არის თაობათა არჩევანი

საქართველოს ევროპული არჩევანი წარმოადგენს არა მხოლოდ არსებულ პრიორიტეტს, არამედ ეს არის თაობათა არჩევანი, რომელიც იზიარებს საქართველოს იდენტურობის ერთიან აღქმას, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში საჯარო ლექციაზე განაცხადა.

როგორც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურიდან გვაცნობეს, საჯარო ლექციას დაესწრნენ ბერლინის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, ექსპერტები და სტუდენტები.

”საქართველოს ევროპული არჩევანი წარმოადგენს არა მხოლოდ არსებულ პრიორიტეტს, არამედ ეს არის თაობათა არჩევანი, რომელიც იზიარებს საქართველოს იდენტურობის ერთიან აღქმას. ეს არის არჩევანი, რომელიც დაგვეხმარა უკანასკნელი წლების მანძილზე მიგვეღწია მნიშვნელოვანი პროგრესისთვის ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით. ეს არის შედეგი. ჩვენ მივაღწიეთ წარმატებას და განვაგრძობთ წარმატებულ სვლას ყველა იმ ვალდებულების განხორციელების კუთხით, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენს ქვეყნის განვითარებისა და თანამედროვე ევროპული დემოკრატიის დამყარების გეგმას. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე წარმოადგენს ასოცირების შეთანხმების შემადგენელ ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიოს ყველაზე დიდ ბაზარზე, ევროპულ ბაზარზე, ქართული პროდუქციის თავისუფალ და მარტივ მიწოდებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს საინვესტიციო კლიმატის აყვავებას და ეკონომიკურ ზრდას. ევროპასთან ასოცირება ჩვენთვის იმაზე მეტია, ვიდრე პოლიტიკა და ბიზნესი: ჩვენ ვიღწვით იმისათვის, რომ დავაახლოვოთ ქართველი და ევროპელი მოქალაქეები ყველა სფეროსა და ყველა სექტორში, ნებისმიერ დონეზე”, - განაცხადა პრემიერმა.

ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა „სტარტაპ საქართველო“ იწყება

საქართველოს მთავრობის რეფორმების 4-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში, ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა „სტარტაპ საქართველო“ იწყება. პროგრამის ფარგლებში მოქალაქეებს, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდებს, რომლებსაც ფინანსური რესურსის არქონის გამო არ შეუძლიათ ბიზნესის დაწყება, შესაძლებლობა მიეცემათ თავიანთი ბიზნესიდეები განახორციელონ და საკუთარი ბიზნესი დაიწყონ.

პროგრამის განხორციელების პირველ ეტაპზე სახელმწიფო 11 მილიონ ლარს გამოყოფს, რომლითაც ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური სტარტაპები დაფინანსდება. სამომავლოდ, უფრო მეტი სტარტაპის დაფინანსების მიზნით, პროგრამის ბიუჯეტი, შესაძლოა, 35 მილიონ ლარამდე გაიზარდოს.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, პროგრამის განხორციელების შედეგად, ქვეყანაში სამეწარმეო სულისკვეთება ამაღლდება, დაიწყება არაერთი ახალი ბიზნესი, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები და მოსახლეობას საკუთარი შემოსავლის წყარო გაუჩნდება.

პროგრამის კოორდინატორები არიან საპარტნიორო ფონდი და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო.

პროგრამის მონაწილე შეიძლება გახდეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, პირი ან პირთა ჯგუფი, ვისაც აქვს სიახლეზე ორიენტირებული, პერსპექტიული და მდგრადი ბიზნესწინადადება და მისი განხორციელებისთვის საწყისი დაფინანსება სჭირდება.

განაცხადების მიღება 2016 წლის 17 ივნისიდან 31 ივლისის ჩათვლით გაგრძელდება. განაცხადის ფორმა, შევსების წესი და პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსდება სპეციალურად შექმნილ ინტერნეტ გვერდზე www.startup.gov.ge. პროგრამაში მონაწილეობის მსურველებს ასევე მოემსახურებიან ტექნოლოგიური პარკის შენობაში, სადაც განთავსდება პროგრამის ფრონტ-ოფისი და დაინტერესებული პირები ერთი ფანჯრის პრინციპით ამომწურავ ინფორმაციას მიიღებენ პროგრამის შესახებ. მსურველების უკეთ ინფორმირებისთვის ასევე ამოქმედდება სატელეფონო ცხელი ხაზი. პროექტები კონკურსის წესით შეირჩევა.

ვალტერ შტაინმაიერი – გერმანია საქართველოს ევროპასთან დაახლოების პროცესს და თანამშრომლობას მომავალშიც მთელი გულით დაუჭერს მხარს

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის დასასრულს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო მიღებას დაესწრო. საქართველოს საელჩოს მიერ ორგანიზებულ მიღებაზე, მოწვეულ სტუმრებს შორის იყო გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი ფრანკ -ვალტერ შტაინმაიერი, რომელმაც სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას.

გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურ მინისტრის განცხადებით, გერმანია საქართველოს ევროპასთან დაახლოების პროცესს და თანამშრომლობას მთელი გულით უჭერს მხარს. ვალტერ შტაინმაიერი მიიჩნევს, რომ საქართველომ ზედმიწევნით შეასრულა ყველა დავალება ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

“მე ძალიან ვგულშემატკივრობ ვიზალიბერალიზაციის საკითხს საქართველოსთან მიმართებაში. მე მესმის, რომ საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირში უვიზო მიმოსვლა სურთ, მას შემდეგ რაც ის სავალდებულო ნაბიჯები, რასაც ევროკავშირი საქართველოდან ელოდა, საქართველომ შეასრულა. მე მტკიცედ მჯერა და ამას ძალიან მკაფიოდ ვიტყვი, მე მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენ ამ საკითხების გადაწყვეტა შეგვიძლია და ჩვენი ორივე ქვეყნის ხალხისთვის სწორ გადაწყვეტილებას მივიღებთ, მაგრამ მანამდე ვფიქრობ, რომ საჭიროა ჩვენი სიმტკიცე, გულმოდგინე შრომა და ერთად დადგომა. ამის გამოხატულებაა ბოლო 2-3 კვირის ჩვენი ინტენსიური დიალოგი, რაც თავის მხრივ ჩვენი ახლო, კონსტრუქციული ურთიერთობების გაგრძელებაა და მიზნად ისახავს არსებული საკითხების გადაჭრის გზების პოვნას. გერმანიისა და საქართველოს ერთად დგომის გამოხატულებაა ის, რომ ჩვენ დღეს ერთად ვზეიმობთ საქართველოს ნაციონალურ დღესასწაულს,”-აღნიშნა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა.

მისივე განცხადებით, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 25-ე წლისთავზე, ევროპასთან დაახლოების კუთხით, საქართველომ შეძლო და განახორციელა ძალიან ამბიციური რეფორმები.

“მე ვფიქრობ, რომ საქართველოს და ქართველებს შეუძლიათ იამაყონ, არა მხოლოდ დამოუკიდებლობით, არამედ ქართულ ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით. ასევე იმ შედეგით, რაც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 25 წლის თავზე ევროპასთან დაახლოებისა და თანამშრომლობის კუთხით იქნა მიღწეული და ასევე ძალიან ამბიციური შიდა რეფორმებით, რომელიც საქართველომ ამ პერიოდის განმავლობაში განახორციელა. პატივცემულო პრემიერ-მინისტრო, ძვირფასო გიორგი, მინდა გითხრათ, რომ გერმანია საქართველოს ევროპასთან დაახლოების პროცესსა და თანამშრომლობას მომავალშიც მთელი გულით დაუჭერს მხარს. ისევე როგორც, და ჩვენ ამაზე შეხვედრის დროსაც ვისაუბრეთ, რასაკვირველია, მხარს ვუჭერთ არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობას, არამედ უპირველეს ყოვლისა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და რასაკვირველია, დღევანდელი შეხვედრის დროს ჩვენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ კონფლიქტებზეც ვისაუბრეთ,”-განმარტა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა.

მისივე თქმით, ქართულ-გერმანული ურთიერთობები ძალიან მყარ ფუნდამენტზე დგას, რაც აუცილებელია იმ გამოწვევებთან გასამკლავებლად, რის წინაშეც დგას ორივე ქვეყანა.

სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურ მინისტრს საქართველოს მხარდაჭერისა და გულთბილი მიღებისთვის. მანვე ხაზი გაუსვა საქართველო-გერმანიის ურთიერთობების გაღრმავების მნიშვნელობას და იმედი გამოთქვა, რომ გერმანიის მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება.

“გერმანია იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. უფრო მეტიც, გერმანია იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც საელჩო გახსნა თბილისში 1992 წლის აპრილში და ეს მისია შეასრულა გერმანიის ერთ-ერთმა ბრწყინვალე მოღვაწემ ჰანს-დიტრიხ გენშერმა, რომელმაც დახმარება გაუწია ახლადშობილ სახელმწიფოს პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმაში სახელმწიფოებრიობის გზაზე. მას შემდეგ გერმანია მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და, რაც მთავარია, ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენ ძალიან მადლიერნი ვართ ამისთვის. გერმანიის მხარდაჭერა საქართველოსადმი ეფუძნება ჩვენს საერთო ღირებულებებს და ფუნდამენტურია ჩვენთვის, რადგან ჩვენ ვცდილობთ ჩვენი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დღის წესრიგის განხორციელებას,”- განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ბერლინში გამართულ საზეიმო მიღებას დიპლომატები, ბიზნესისა და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები დაესწრნენ.

სკოლებში სამეურვეო საბჭოები დაკომპლექტდა

საქართველოს საჯარო სკოლებში 10 ივნისს სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოს – სამეურვეო საბჭოს არჩევნები გაიმართა.

როგორც დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრში ამბობენ, არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა დედოფლისწყაროს ყველა საჯარო სკოლაში. რესურსცენტრის უფროსის, ეთერ ზურიკაშვილის განმარტებით, ექსცესებს ადგილი არ ჰქონია და აქტივობაც საკმაოდ დაფიქსირდა. უკვე დაკომპლექტებული სამეურვეო საბჭოები თავმჯდომარეს უახლოეს დღეებში აირჩევენ.

„დილიდან ყველა სკოლა პირადად შემოვიარე და პროცესი ყველგან მშვიდ ვითარებაში წარიმართა. შედეგები სამინისტროს გადავუგზავნეთ,“ – აღნიშნავს ეთერ ზურიკაშვილი.

სამეურვეო საბჭო სკოლის მმართველობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია, მის წევრებს მშობლები და პედაგოგები ირჩევენ. სამეურვეო საბჭო ირჩევს სკოლის დირექტორს, ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტსა და შინაგანაწესს, ითანხმებს სასკოლო სასწავლო გეგმას. საბჭოს წევრები არიან სკოლის მასწავლებლები, მშობლები და საშუალო საფეხურის ერთი მოსწავლე.

გასული წლებისგან განსხვავებით საარჩევნო უბნებზე ამჯერად არცერთი საჯარო მოხელე არ დაგვიფიქსირებია. 2009 წელს დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში საბჭოს არჩევნებს დამკვირვებლის სტატუსით 16 პირი აკვირდებოდა. სინამდვილეში ისინი ნაციონალური მოძრაობის წევრები და გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები იყვნენ.

მაშინ დაფიქსირდა ისეთი ფაქტებიც, როცა ხმის მისაცემად მოსული არაერთი მშობელი, საარჩევნო უბანში არ დაუშვეს.

ილია მარტყოფლიშვილი

რა მოხდა საკრებულოში?

15 ივნისს გაიმართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომლის დღის წესრიგიც მოიცავდა საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო პლაკატების გასაკრავად ადგილების განსაზღვრისა და საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად საარჩევნო სუბიექტებისთვის შენობების გამოყოფის საკითხებს. თუმცა, სხდომის გახსნის შემდეგ აქტუალური სხვა საკითხი გახდა.

სხდომათა დარბაზში მყოფი პირები, რომლებიც სააგენტო „allmedia"-ს წარმოადგენდნენ, ითხოვდნენ საკრებულოს სხდომის ვიდეოგადაღების უფლებას. ამ საკითხს მწვავე დებატები მოჰყვა. საქმე იმაში გახლავთ, რომ საკრებულოს წინა სხდომაზე დეპუტატებმა იხელმძღვანელეს მოქმედი რეგლამენტით და კენჭი უყარეს საკითხს, რომელიც ითვალისწინებდა ,,allmedia"-ს ჟურნალისტისთვის საკრებულოს სხდომის ვიდეოგადაღების უფლების მიცემას. საკრებულოს წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, არ დაერთოთ ნება „allmedia"-ს წარმომადგენლისთვის და მოთხოვნის შესაბამისად მისთვის მიეწოდებინათ საკრებულოს პრესსამსახურის მიერ გადაღებული ვიდეომასალა. სხდომაზე ხმაური სწორედ აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია. სააგენტო „ალლმედია"-ს წარმომადგენლები აპროტესტებდნენ საკრებულოს გადაწყვეტილებას და მას, როგორც ჟურნალისტებისთვის მუშაობის ხელის შემშლელ ფაქტად განიხილავდნენ. მათ ინტერესებს იცავდნენ „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები საკრებულოში. ლევან ბაღაშვილმა საკრებულო ჟურნალისტებისთვის მუშაობის ხელის შეშლაში დაადანაშაულა: „თქვენ დაუშვით პრეცედენტი მთელი საქართველოს მასშტაბით და ჟურნალისტებს უზღუდავთ საჯარო ინფორმაციის მიღებას. საკრებულოს სხდომა არის საჯარო და მასზე დასწრება ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია. რაც შეეხება ვიდეოგადაღების აკრძალვას, ეს იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ სხდომა დახურულია", - განაცხადა მან, რასაც დარბაზში მოჰყვა წინა ხელისუფლების პერიოდში არსებული ფაქტების გახსენება და ურთიერთბრალდებები. სიტუაცია საკრებულოს თავმჯდომარემ განმუხტა, რომელმაც განმარტა, რომ საკრებულომ იმოქმედა საკრებულოს რეგლამენტის მეცხრე მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად: „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი მიღებულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, რომლითაც განსაზღვრულია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება, სტრუქტურა, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობები, ასევე, მუშაობის ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, ,,დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 13 დადგენილება და ამ დადგენილებაში შეტანილი ცვლილებები გადაგზავნილი იყო ზედამხედველობის ორგანოში სამართლებრივი ექსპერტიზისთვის და დადგენილებების საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამობა არ გამოვლენილა (ზედამხედველობის ორგანოდან საკრებულოს უარყოფითი დასკვნა არ მიუღია). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიაჩნია, რომ ამ გადაწყვეტილებით მოქმედი კანონმდებლობა არ დარღვეულა".

ზვიად ჯავახიშვილმა კიდევ ერთხელ დააყენა ეს საკითხი კენჭისყრაზე. მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს წევრების უმრავლესობამ არ მისცა ჟურნალისტებს ვიდეოგადაღების უფლება, ისინი მაინც ჯიუტად აგრძელებდნენ ვიდეო კადრების მოპოვებას. საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ამ საკითხისთვის ზედმეტი ყურადღება აღარ მიუქცევიათ და ამჯერად კენჭისყრაზე დაყენეს ის საკითხები, რისთვისაც რიგგარეშე სხდომა გაიმართა. საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ დამსწრე ჟურნალისტებმა შეურაცხყოფა მიაყენეს მათ გადაწყვეტილებას და მარტივი დასკვნა გამოიტანეს: „მათი მთავარი მიზანი პროვოკაციის მოწყობა იყო. ეს იქიდანაც გამოჩნდა, რომ მათ არც კანონს სცეს პატივი. როგორც ჩანს, მათ სურდათ, საკრებულოს თავმჯდომარეს პოლიცია გამოეძახა და მეტი ხმაური ყოფილიყო დედოფლისწყაროს ადგილობრივ თვითმმართველობაში. ეს არცაა გასაკვირი, მათ ხომ ზურგს ნაციონალური მოძრაობა უმაგრებს".

ინგა შიოლაშვილი

დაზიანება თუ დეზინფორმაცია?!...

მოვიდა ზაფხული და წყლის საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის თანამშრომლები გვაიმედებენ, რომ წელს წყალმომარაგების თვალსაზრისით უკეთესი მდგომარეობა იქნება, მოსახლეობა მაინც შიშით შეჰყურებს ზაფხულს.

ცნობილია, რომ რამდენიმე დღის წინ 4 დღით შეუწყდა დედოფლისწყაროელებს წყლის მოწოდება, რაც ცენტრალური რეზერვუარების გეგმიური წმენდით იყო გამოწვეული. 16 ივნისს, ქალაქ დედოფლისწყაროს ზედა ნაწილში, სულ რაღაც ერთი საათით შეწყვეტილმა წყალმა კი უამრავი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მოსახლეობაში გავრცელდა ხმები, რომ ცენტრალურ რეზერვუარში სერიოზული ინფექციის წყარო არსებობდა მკვდარი ძაღლის სახით და წყლის სასმელად გამოყენება შეუძლებელი იყო. ასევე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ წყლის მიწოდების აღდგენა რამდენიმე დღის მანძილზე ვერ მოხერხდებოდა...

ჩვენ ინფორმაციის გადამოწმება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვისცენტრში ვცადეთ. როგორც გაზეთ „შირაქს" განუმარტეს, **ეს არის ცრუ ინფორმაცია. სინამდვილეში დაზიანება იყო ჭავჭავაძის ქუჩაზე და წყალიც სულ რაღაც ერთი საათით შეწყდა. დაზიანების აღმოფხვრის შემდეგ დედოფლისწყაროელებს მალევე აღუდგა წყალმომარაგება. „გვინდა მოვუწოდოთ მოსახლეობას, რომ არ აყვნენ გარკვეული ძალების მიერ გავრცელებულ აბსურდულ ინფორმაციებს. ჩვენ ვზრუნავთ როგორც მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფაზე, ასევე მათ ჯანმრთელობაზეც"**-განაცხადეს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის ინჟინერ-ტექნიკოსი ალექსანდრ ბაბაიანი.

ცნობილია ისიც, რომ რეზერვუარში წყლის დებეტის გასაზრდელად მასშტაბური სამუშაოები მიმდინარეობს ელიის მთის მიმდებარე ტერიტორიაზე, საიდანაც დედოფლისწყაროს წყლის დამატებითი რესურსი მიეწოდება. ეს კი ზაფხულის ცხელ დღეებში შექმნილ დეფიციტს აღმოფხვრის. გეოლოგები გვაიმედებენ, რომ რამდენიმე ვარიანტიდან საუკეთესო წერტილი შეირჩა და წყლის მარაგი მოსალოდნელზე მეტია.

ქ. დედოფლისწყარო — 15 ივნისი 2016წელი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №14

საქართველოს პარლამენტის 2016 წლისარჩევნებთან დაკავშირებით სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 46-ე მუხლის მე-4 და მე -5 პუნქტების შესაბამისად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნებთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გამოსაკრავად(გამოსაფენად) განისაზღვროს შემდეგი ადგილები:
1) კულტ-სახლების ფასადები და მათი კაპიტალური მესრები.
2) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სასწავლო- აღმზრდელობითი დაწესებულებების კაპიტალური მესრები.
3) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესრები, გარდა მათი ადმინისტრაციული შენობებისა, აგრეთვე მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა ნაგებობები და მათი კაპიტალური მესრები;
4) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ღამის განათების ბოძებზე - სამი მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ სადენებთან და სხვა ელექტრო მოწყობილობებთან არაუმეტეს ერთი მეტრის სიახლოვისა.
2. აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (მის: ქ.დედოფლისწყარო კოსტავას ქ.№44), ასევე სასამართლოსა (მის: ჰ.გონაშვილის ქ.№2) და პოლიციის (მის: ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩა და სოფ.არხილოსკალო)შენობა-ნაგებობების ინტერიერსა და ექსტერიერში და საგზაო ნიშნებზე.
3.განკარგულება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე;
4. განკარგულებისგასაჩივრებაშეიძლებასიღნაღისრაიონულსასამართლოში (ქ.სიღნაღი, ცოტნე დადიანისქ. №15) საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი

ქ. დედოფლისწყარო — 15 ივნისი 2016წელი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №15

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო ღონისძიებების გასამართად და წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) მოსაწყობად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების საოლქო საარჩევნო კომისიისათვის უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-8 და მე -9 პუნქტების შესასრულებლად და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად , დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს, საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნებთან დაკავშირებით, არჩევნების შედეგების საბოლოო გამოცხადებამდე მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების გასამართად უსასყიდლოდ დაუთმოს და წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) მოსაწყობად გადასცეს საოლქო საარჩევნო კომისიას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი შენობა-ნაგებობები:
1. ქ. დედოფლისწყაროში - ხელოვნების სკოლის შენობა (საკონცერტო დარბაზი) მის: ცხრა ძმის ქ. №2
2. სოფელ არბოშიკში-კულტურის სახლის შენობა.
3. სოფელ ოზაანში- ადმინისტრაციული (ყოფილი საკრებულოს) შენობა.
4. სოფელ გამარჯვებაში- ადმინისტრაციული (ყოფილი საკრებულოს) შენობა.
5. სოფელ ხორნაბუჯში- ადმინისტრაციული (ყოფილი საკრებულოს) შენობა.
6. სოფელ ზემო მაჩხაანში-კულტურის სახლის შენობა.
7. სოფელ სამრეკლოში-კულტურის სახლის შენობა.
8. სოფელ ზემო ქედში-კულტურის სახლის შენობა.
9. სოფელ ქვემო ქედში- ადმინისტრაციული (ყოფილი საკრებულოს) შენობა.
10. სოფელ სამთაწყაროში - ადმინისტრაციული (ყოფილი საკრებულოს) შენობა.
2. განკარგულება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე;
3.განკარგულებისგასაჩივრებაშეიძლებასიღნაღისრაიონულსასამართლოში (ქ.სიღნაღი, ცოტნე დადიანისქ. №15) საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი

სოფელ გამარჯვებაში აღდგენილი ხორცკომბინატი და ინტერვიუ ბიზნესმენ ვაჟა ნატროშვილთან

1956 წელს ამერიკელმა ფინანსისტმა კარლ რეინგორგმა საფუძველი ჩაუყარა ბიზნესს. ბიზნესი – ეს არის მართვის სისტემა, რომელიც ორგანიზებას უნევს მასიურად საზოგადოების დასაქმებას. ბიზნესში აუცილებელია დავიცვათ შემდეგი პრინციპები: პატიოსნება, წესიერება და პასუხისმგებლობის გრძნობა. თუ ჩვენ ამ ყველაფერს კარგად შევუთანხმებთ ბიზნესს, ეს იქნება პირველი საფუძველი საქმის წარმატების კეთების. საინტერესოა, რა ხდება ამ კუთხით ჩვენს რაიონში?!

სოფელ გამარჯვებაში ძველი ხორცკომბინატის ადგილას დედოფლისწყაროელმა ვაჟა ნატროშვილმა, რომელიც 25 წელია რუსეთში, კერძოდ კისლოვოდსკში მოღვაწეობს, საქონლის სასაკლაო და ხორცპროდუქტების გადამამუშავებელი საამქრო გახსნა. ბიზნესმენის ერთადერთი მიზანი ხალხის დასაქმება და საქართველოში ნამდვილი, ყოველგვარი ქიმიური ინგრედიენტების გარეშე ნატურალური ხორცის პროდუქციის წარმოება გახლდათ და ამას დღემდე საკმაოდ მაღალხარისხიანად აკეთებს. მისი საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქცია სახელწოდებით „ვერძი“ უკვე არამარტო დედოფლისწყაროში სარგებლობს მაღალი მოთხოვნით, როგორც ერთადერთი სანდო და ნატურალური ხორცის ნაწარმი, არამედ თბილისის მოსახლეობაშიც. ამ ნაბიჯით ვაჟა ნატროშვილს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის უნდოდა შეეწყო ხელი და ეჩვენებინა ხალხისთვის, თუ როგორ შეიძლება სუფთად აკეთო საქმე და ხალხთან იყო მართალი. მთავარი აქცენტი ნატურალურ, სუფთა ნაწარმის კეთებაზეა გათვლილი და საკმაოდ მაღალი განაცხადი აქვს, -ეს არ გახლავთ სოიოს, ან ქათმის ფარშით დამზადებული, არაჯანსაღი, კუჭის „სატყუარა“ ნაწარმი, ეს გახლავთ ნამდვილი, ჯანსაღი ხორცით დამზადებული მაღალხარისხიანი პროდუქტი, რომლის ანალოგი საქართველოში არსად წარმოებს. ამბობს, რომ საქართველოს მხოლოდ სუფთა გულით მომსახურე ხალხი სჭირდება და ის აუცილებლად წინ წავა, აქვე დასძენს, რომ მის მსგავსად ყველა მისი მეგობარი ბიზნესმენი სამშობლოს რომ დაუბრუნდეს და საკუთარ რაიონში თითო ასეთი საწარმო გახსნას, ქვეყანას მცირედით მაინც ეშველება. უდავოა, რომ საქმე, რომელიც ბატონმა ვაჟამ წამოიწყო, ნამდვილად ეროვნულია და დასაფასებელი. ბატონი ვაჟა 1952 წელს დაიბადა წითლწყაროში, 1974 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ახალგაზრდობის წლებში ოჯახთან ერთად კისლოვოდსკში წავიდა საცხოვრებლად, სადაც 25 წელი დაჰყო, ვაჟა ნატროშვილს ჰყავს მეუღლე ნინო, ორი ვაჟი - ერეკლე და თორნიკე და ერთი შვილიშვილი ლუკა.

– ბატონო ვაჟა, რუსეთში მოღვაწეობთ, ვიცით, რომ იქ კარგად აწყობილი ბიზნესი გაქვთ, საიდან გაჩნდა იდეა, რომ მშობლიურ კუთხეში ხორცკომბინატი გაგეკეთებინათ და რას ემსახურება თქვენს მიერ წამოწყებული საქმე?

–ეს ყოველივე მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის გადავწყვიტე, რომ საქართველოს მშენებლობაში ერთი აგური მეც დამედო. აქ მოგებაზე არც მიფიქრია, უბრალოდ, როცა ნორმალურად ცხოვრობ ადამიანი, შენი სიკეთით სამშობლო და შენი ხალხიც უნდა ასარგებლო, სხვებსაც უნდა გაუწოდო ხელი, მარტო შენთვის არ უნდა იცხოვრო. მიზანი, გულწრფელად გეუბნებით, ჩემი რაიონისთვის რაღაც სასიკეთო გამეკეთებინა, ხალხი დამესაქმებინა, ეს გახლდათ (როგორ გამომდის, თქვენ განსაჯეთ). მთლიანობაში ასეა, დღეს მე მშობლიურ კუთხეს, მამისეულ სახლს დავუბრუნდი ნაწილობრივ, რომელთან განშორებაც ყოველთვის ძალიან მიჭირდა.

– სულ რამდენი ადამიანია დასაქმებული თქვენს საწარმოში და თუ შეიძლება აგვიხსნათ, რა პროდუქციას აწარმოებთ, რამდენადაც ვიცი, საკმაოდ მრავალფეროვანია თქვენი წარმოებული პროდუქტის სახეობები?

–30 კაცია დასაქმებული და მე ეს მახარებს, ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია, რომ ადამიანი, რომელსაც აქამდე უჭირდა და საარსებო მინიმუმი არსაიდან გაჩნდა, ახლა სახლში შვილებთან ხელცარიელი არ ბრუნდება. ამასთან, მოსახლეობას და ფერმერებს გაუჩნდათ სტიმული მეცხოველეობის განვითარებისთვის. გარდა ხორცეულის, ხაშის და ფარშისა ვანარმოებთ ძეხვეულს, სამონადირეოს, მოსკოვურს, ფინურს, სერველადს, საექიმოს (დიეტური) სოსისს „ივერიას“, რძიანს, გემრიელს, დიეტურს. საქონლის ძეხვს, (დიაბეტიანებისათვის) ვუშვებთ კუპატს, ჯიგრის კუპატს, სარდელს, ლორს, ბასტურმას.

– ვიცით, რომ დედოფლისწყაროში არის მაღაზია, სადაც რეალიზებულია თქვენი პროდუქტი, სხვა რაიონებში თუ არის რეალიზაცია, ან დედაქალაქში თუ გადის პროდუქცია სახელწოდებით „ვერძი“?

– ჯერჯერობით მხოლოდ დედოფლისწყაროში და თბილისში გვაქვს მაღაზია. ამჯერად საფირმო მაღაზიების ქსელის გაფართოებაზე ვართ ორიენტირებულნი, გვინდა, რომ მოსახლეობამ გაიგოს ხარისხიანი ქართული პროდუქტის ფასი. ქალაქში ჩვენს მაღაზიას საკმაოდ კარგად იცნობენ და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მაღაზია გლდანის მიკრორაიონშია, ვინც იცის ჩვენი პროდუქტის ფასი და სურს რომ ბავშვები ხარისხიანი,ჯანსაღი პროდუქტით გამოკვებოს, ისინი მოშორებული უბნებიდანაც მოდიან ხორცპროდუქტების შესაძენად.

მთავარი აქცენტი ნატურალურ, სუფთა ნაწარმის კეთებაზეა გათვლილი და საკმაოდ მაღალი განაცხადი აქვს

– აპირებთ თუ არა გაფართოვებას და სხვა პროდუქტების წარმოების დამატებას?

– „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში ვაპირებთ აქვე, ჩვენი ხორცკომბინატის გვერდით ავაშენოთ საკონსერვო საწარმო, სადაც გავაკეთებთ ტოლმას ვაზის ფოთოლში, ხორცის ტუშონკებს, ყაურმას, ჩახოხბილს და სხვა პროდუქტებს. ასე, რომ სამომავლო გეგმები საკმაოდ კარგი გვაქვს. კიდევ შეიქმნება რამოდენიმე ათეული სამუშაო ადგილი.

– აქვე მინდა შევეხოთ ფასებს, რომ თქვენი პროდუქტის მაღაზიაში ერთი-ორი ლარით იაფია ხორცი, ხაში, ჯიგარი, ვიდრე სხვა კერძო მაღაზიებში, ამან საკმაოდ მოიზიდა თქვენთან მყიდველი, რამაც საკმაო კონკურენცია გაუწია წვრილ-წვრილ ხორცის მწარმოებლებს, სამაგიეროდ მაღალი ფასი აქვს თქვენს ნაწარმ ძეხვეულს და სოსისებს...

– ჩვენ ვყიდით ფარშს 8 ლარად, რომელიც ძირითადად ანათლელი ხორცისგან მზადდება, ის ჩვეულებრივი ახალი ხორცია, უბრალოდ რბილის ძვლისგან გათავისუფლების დროს ძვალზე რჩება ხორცი, რომელსაც ასევე არ ვტოვებთ ისე და ფარშად ვაქცევთ. ამან ხალხს საშუალება მისცა, დაბალ ფასად შეიძინოს ხარისხიანი ფარში. რაც შეეხება სოსისს და ძეხვს, მათი ფასი მაღალია, რადგან ის სუფთა ხორცისგანაა დამზადებული და მას მასის გაზრდის გამო არანაირი სხვა მინარევები არ აქვს. მე უფრო კარგად აგიხსნით, ჩვენს მიერ წარმოებულ 2 ცალ სოსისს უფრო მაღალი კვებითი ღირებულებები გააჩნია, ვიდრე იაფფასიან 4-ს,რადგან ის სუფთა ხორცისგან მზადდება და შესაბამისად მაღალკალორიულია, ამიტომ ჯდება „ვერძის“ პროდუქტი ძვირი, იაფიანი კი, სოიოსგან და ქათმის ფარშისგანაა დამზადებული . ახლა გამოითვალეთ, რომელი უფრო იაფი და სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისთვის. ამიტომ, მყიდველმა, რომელიც იხდის ფულს, კარგად უნდა გააანალიზოს და ისე უნდა გააკეთოს პროდუქტის ყიდვისას არჩევანი.

– როგორ ფიქრობთ, ჩვენს ქვეყანაში ვაჭრობა უფრო მომგებიანია, თუ წარმოება და არსებობს თუ არა სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა და მზაობა იმისა, რომ კერძო სექტორს ხელი შეუწყოს?

– ბიზნესი არის საქმის სიყვარული, საქმე უნდა გიყვარდეს, მთავარი ეგაა, რა თქმა უნდა, ამისთვის გარკვეული ნიჭი და განათლებაა საჭირო. განათლების გარეშე ვერაფერს ვერ მიაღწევ. გულწრფელად გითხრათ, მე არაფერი არ მაკლია, კისლოვოდსკში მაქვს ჩემი საკმაოდ წარმატებული ბიზნესი. ფაქტიურად არაფერი მრჯიდა, აქ საქმის დასაწყებად, მაგრამ „არც კაცი ვარგა ,რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“. გადავწყვიტე ჩემს ქვეყანაში რაიმე კარგი შემექმნა, ხელი შემეწყო სახელმწიფოსთვის, ხალხს ამოვშველებოდი. ვფიქრობდი იმასაც, ბევრი მომბაძავდა და სხვა ჩემი მეგობრებიც ჩამოვიდოდნენ, ეროვნულ საქმეს გააკეთებდნენ , რაიმეს შექმნიდნენ და ქვეყანა ცოტა წინ წამოვიდოდა, მაგრამ, გულწრფელად გითხრათ, დიდი გამოხმაურება და თანადგომა არ მიგვრძვნია პრესისა და ხელისუფლების მხრიდან (ინფორმაციას ვგულისხმობ) და არც ჩემი მეგობრები დაინტერესებულან ჩამოსვლით, ჩემი აზრით ყველა კარგ წამოწყებას ენთუზიაზმით უნდა მოეკიდებოდოს სახელმწიფო, ხელი შეუწყოს, განაზოგადოს, რომ მეორეც ჩამოვიდეს, აქ კი, ერთი- ორგან გაიელვა, რომ აქ ეს გაკეთდა და მორჩა. არადა არაა სწორი, იმიტომ კი არა, რომ მე მჭირდება, უბრალოდ ქვეყნისთვის იქნებოდა უკეთესი. ისე სახელმწიფო ბევრ კარგ პროექტს ახორციელებს კერძო სექტორის ხელშეწყობისთვის(იაფი კრედიტები „აწარმოე საქართველოში“ და ა. შ.) უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ დღეს ბიზნესი თავისუფალია ზეწოლისაგან. რაც შეეხება ბიზნესსა და ვაჭრობას, თუ რომელია მომგებიანი, რა თქმა უნდა, ნორმალურ, განვითარებულ ქვეყანაში წარმოება-მომგებიანია, ვიდრე ვაჭრობა, მაგრამ, საქართველოს მაგალითზე, ამას ვერ ვიტყვი.

– რამდენადაა დაცული საქონლის სასაკლაოში მიღების წესები?

– ვეტექიმი გვყვავს, როგორც შემოდის საქონელი, ტემპერატურა იზომება, მოწმდება თავიდან ბოლომდე დაკვლის პროცესი და ბოლომდე კონტროლდება. ეს ყველაფერი იწერება ვიდეო თვალით და იგზავნება სურსათის ეროვნულ სააგენტოში, თუ საქონელს შემოწმების შედეგად აღმოაჩნდა რაიმე საეჭვო ნიშნები, გადაგვყავს კარანტინში შემდეგი გამოკვლევისათვის.. ასევე ჩვენ საწარმოში, ერთ-ერთმა პირველებმა საქართველოში დავნერგეთ HACCP-ი (საფრთხის ანალიზის და კრიტიკული წერტილების მართვის სისტემა) უსაფრთხოების ევროპული სტანდარტი. ასე რომ, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. ჩემს საკუთარ შვილიშვილს ჩემს ნაწარმს ვაჭმევ, იმიტომ, რომ ვიცი, ნატურალურია და სანდო. მე ღმერთან უნდა ვიყო მართალი უპირველესად და როგორც საკუთარი შვილიშვილისთვის მინდა კარგი, ასევე ყველა ოჯახის ბავშვი მინდა ჯანსაღად იკვებებოდეს, მათი ოჯახები თამამად უნდა ენდობოდნენ ჩვენს წარმოებას. აქვე მინდა აღვნიშნო,რომ ჩვენი სასაკლაოდან მარაგდება საქონლის დარბილებული ხორცით დედოფლისწყაროს,სიღნაღის და თბილისის რამოდენიმე რაიონის ბაგა-ბაღები, სადაც კონტროლი უპრეცენდენტოა.

– ამბობენ ბედნიერება მხოლოდ ფულში არააო, რაშია ბედნიერება?

– მე რომ მკითხოთ, ბედნიერება საერთდ არაა ფულში. მქონდა ცხოვრებაში პერიოდი, როდესაც ერთი მანეთიც არ მქონდა ჯიბეში, იყო დრო, როცა ბევრი მქონდა. რომ შევადარო, ვერ გეტყვით როდის უფრო ბედნიერი ვიყავი, ამას ყოველგვარი ფარისევლობის გარეშე ვამბობ, იმიტომ რომ ბედნიერება არის ჯანმრთელობა, სიკეთე, ახლობლების კეთილდღობა, უფალთან ახლოს ყოფნა, სხვანაირ ბედნიერებას მე ვერ ვხედავ. ბედნიერება არის, რომ ორი თუ სამი კაცი მადლიერია შენით და ოჯახში კმაყოფილი ბრუნდება. მეტსაც გეტყვით, როდესაც რუსეთში გადავედით საცხოვრებლად თავიდან საკმაოდ გაგვიჭირდა, რასაც ვშოულობდით სახლის აშენებაში ვდებდით, მეხსენდება ახლა, ხელოსნების ფულიც კი არ მქონდა და ამიტომ ჩემმა პატარა ბიჭებმა, ჩემმა მეუღლემ და მე, ერთად, გვერდში დგომით, საოცარი ენთუზიაზმით, ერთმანეთის სიყვარულით ავაშენეთ ბინა. აი ბედნიერება ეგ არის, ძალიან აახლოებს, ძალიან კრავს ერთად გაკეთებული საქმე ოჯახს. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მეუღლეს, ახლაც, მე რომ აქ ვარ ამ მომენტისათვის კისლოვოდსკში ბიზნესს ჩემ ძმასთან ერთად მეუღლე ნინო ხელმძღვანელობს. ის რომ არ მყავდეს, მე აქ ასე, იმედიანად ვერ ვიქნებოდი. ამიტომ ბედნიერება კარგი მეუღლის ყოლაშიცაა.

– ამბობენ ახალგაზრდობის წლები მაქსიმალურად უნდა გამოიყენონო, რადგან ის წლები ბევრად პროდუქტიულია.

– ვეთანხმები, იმხელა ენერგია, რაც ახალგაზრდობაში მქონდა ახლა ხომ აღარ მაქვს. ხშირად მეკითხებიან, ეს როგორ გააკეთე, როგორ მიაღწიეო, სიმართლე რომ გითხრათ, თუ რამე შემიქმნია უპირველესად უფლის დახმარებით.

– ამბობთ, რომ 1952 წელს დაბადებული ხართ, ნახევარ საუკუნეზე მეტი გამოიარეთ, ბევრი რამ ნახეთ, ბევრი შექმენით, ამ გადასახედიდან როგორ შეაფასებთ თქვენს ცხოვრებას?

– აბსოლუტურად არაფერს არ შეცვლიდი, რაც კარგი იყო და რაც ცუდი, ყველაფერს ისე დავტოვებდი, როგორც იყო. მე ჩემი ცხოვრებით კმაყოფილი ვარ , მყავს საყვარელი მეუღლე, ორი ვაჟი, რომლებიც საჯარო სამსახურში არიან დასაქმებულები და, ჯერჯერობით, ერთი შვილიშვილი, რომელიც ჩემთვის ყველაფერია.

– მადლობა საინტერესო საუბრისთვის და იმისთვის, რომ ქართულ საქმეს აკეთებთ.

–მადლობა თქვენ, რომ დაინტერესდით ამ საქმით.

ლალი მეხრიშვილი

გარდაცვლილი მშობიარის ოჯახს ექიმებთან პრეტენზია არ აქვს

წნორის საავადმყოფოში დედოფლისწყაროელი ორსულის გარდაცვალების ფაქტს ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო რეგულირების სააგენტო შეისწავლის. გამოძიება დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველომაც. დედოფლისწყაროს სოფელ სამთაწყაროში მცხოვრები 28 წლის იამზე ბერიძე მშობიაობისშემდგომი გართულებებით წნორის საავადმყოფოში რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა.



გარდაცვლილის მეუღლე: „რასაც ვუყურე, ყველა ღონე იხმარეს, ამიტომ მეც და სიდედრ-სიმამრმაც ხელი მოვაწერეთ, რომ ექიმებთან პრეტენზია არ გვაქვს

სამედიცინო რეგულირების სააგენტოში აცხადებენ, რომ მოკვლევას სასამართლოს ნებართვის მიღების შემდეგ დაიწყებენ.

„სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ უკვე განიხილა შპს „არქიმედეს კლინიკა“ - სიღნაღიდან 31 მაისს შემოსული შეტყობინება, მელოგინის გარდაცვალების ფაქტზე. მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე უფლების მიღების მიზნით, რეგულირების სააგენტომ შუამდგომლობით სიღნაღის რაიონულ სასამართლოს მიმართა. სააგენტო ღონისძიებების გატარებას, სასამართლოს ნებართვის მიღების შემდეგ დაიწყებს“,– ამბობენ სამედიცინო რეგულირების სააგენტოში.

შს სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, რომ იამზე ბერიძის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 130-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ავადმყოფის განსაცდელში მიტოვებას გულისხმობს და 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ან 3 წლამდე საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ისჯება.

როგორც სოფელში ამბობენ, გარდაცვლილი მანამდე სოფლის საბავშვო ბაღში მუშაობდა და ჯანმრთელობის პრობლემებს არ უჩიოდა.

გარდაცვლილის ახლობლები ირწმუნებიან, რომ მშობიარე სრულიად ჯანმრთელი შეიყვანეს, სამშობიაროს პერსონალის მიერ გამოჩენილი დაუდევრობის გამო კი ორსულის მდგომარეობა გართულდა, სისხლდენა ვერ შეუჩერდა. მოგვიანებით მშობიარის თბილისში გადაყვანა კატასტროფის ცენტრის ეკიპაჟმა სცადა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

როგორც წნორის არქიმედეს კლინიკის დირექტორმა ოთარ რუაძემ განაცხადა, მშობიარის გარდაცვალების მიზეზი სისხლდენა გახდა. მისივე თქმით, ქალმა მშობიარობამდე კონსულტაცია გაიარა და შემდგომი პრობლემები მოსალოდნელი არ ყოფილა. ახალშობილი ბიჭს გადარჩენა მოხერხდა. ჩვილი ამ დროისთვის ლაგოდეხის საავადმყოფოს ბავშვთა რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. ექიმების ინფორმაციით, ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. გარდაცვლილს ახალშობილის გარდა, 6 წლის გოგონა დარჩა.

თავდაპირველად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ გარდაცვლილის ოჯახი მედიკოსებს გულგრილობაში ადანაშაულებდა და ექიმების წინააღმდეგ ჩივილს გეგმავდა. თუმცა, ამჯერად, გარდაცვლილის მეუღლე ამბობს, რომ მედიკოსებთან არანაირი პრეტენზია არ აქვს. გურამ კილაძე ადასტურებს, რომ მისი მეუღლე სრულიად ჯანმრთელი იყო და ორსულობის პერიოდში ყველა კონსულტაცია გაიარა.

გურამ კილაძე: (გარდაცვლილის მეუღლე) „ჯანმრთელი იყო, არაფერს უჩიოდა. ბოლო ხანს, რამე გართულება რომ ყოფილიყო, ან თავი ცუდად ეგრძნო, მშობიარობამდე სახლში ხომ არ მეყოლებოდა. დილით რვა საათზე შევიყვანეთ და ორის ნახევარზე გარდაიცვალა. არცერთი კონსულტაცია არ გაგვიცდენია, ჩვეულებრივად დამყავდა, მივდიოდით-მოვდიოდით. ექიმები რომ გამოდიოდნენ მეუბნებოდნენ, ყველაფერი კარგად მიდის, ყველაფერი კარგად არისო და რავიცი, როდის გართულდა ვითარება. წნორშივე გარდაიცვალა, ვერ მოვასწარით თბილისში გადაყვანა.

რაც შეეხება ექიმების ბრალეულობას, ან გულგრილობას, მედიცინაში ვერ ვერკვევი, მაგრამ იქ ვიყავი და ვხედავდი, რომ რაც შეეძლოთ, ყველა ღონე იხმარეს, ძალა არ დაუშურებიათ. რასაც ვუყურებდი შემიძლია ვთქვა, რომ ექიმებმა გადასარჩენად ყველაფერი იღონეს. მაგრამ ყველაფერი ღმერთის ნებაა და თუ ექიმებმა რაიმე არასწორად გააკეთეს, ღმერთმა დასაჯოს, მე მეტს ვერაფერს ვერ ვიტყვი. რაც შეეხება მომხდარის გამოძიებას, მეც და ჩემმა სიდედრ-სიმამრმაც ხელი მოვაწერეთ, რომ სამშობიარო პერსონალის მიმართ არანაირი პრეტენზია არ გვაქვს. ამიტომ, ახლა რომ ავდგე და დავა დავიწყო, სწორი არ იქნება, თუმცა არც მინდა და არც ვაპირებ. ყველაფერს თავი დავანებე. ერთადერთი საზრუნავი ის მაქვს, რომ პატარა ბიჭი, რომელიც ისევ ინკუბატორშია, დროულად გამოვიყვანო სახლში და მას მივხედო. მას ანდრია დავარქვით. ჩემს პირველ შვილსაც ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა და თბილისში მყავს ექიმებთან. ამიტომ უამრავი საზრუნავი მაქვს და არაფრის თავი არ მაქვს, რომ გარდაცვალების ფაქტის გამოძიებაზე ვიფიქრო. არც ექსპერტიზების თავი მაქვს და ამის გამო საფლავს ნამდვილად ვერ გავხსნი“

როგორც სოფელ სამთაწყაროში გამგებლის წარმომადგენელმა, გულო ნადირაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა გარდაცვლილი აჭარიდან გამოთხოვილი იყო, ამიტომ, ცხედარი აჭარაში, მშობლების სახლში გადაასვენეს და ქობულეთში დაკრძალეს.

ილია მარტყოფლიშვილი

მოსავლის აღება დაიწყო

ხანგრძლივი წვიმების შემდეგ, როგორც იქნა, მზემ იძალა და ზაფხული მოვიდა. უამინდობამ ყველას მოაბეზრა თავი, მაგრამ გამოდარებას ყველაზე მოუთმენლად ის ადამიანები ელოდნენ, ვისაც საშემოდგომო ნათესები აქვს-ზოგს ბევრი, ზოგს ცოტა, ზოგს სესხითა და ვალით დათესილი, ზოგს გასული წლის უხვი მოსავლით წელგამართულს-საკუთარი სახსრებით. ასეა თუ ისე, არც წლევანდელი ალოობის პროგნოზია. მოსავალი, ძირითადად, კარგია. შემოდგომის და გაზაფხულის ნალექებმა ქერსაც და ხორბალსაც განვითარების კარგი პირობები შეუქმნა. კარს მომდგარ უხვ მოსავალს კი საფრთხე ბოლო დროს მოსულმა უხვმა ნალექმა შეუქმნა. ყანები ზოგან წაიქცა, ზოგან სეტყვამაც გადაუარა და, ძირითადად, ქერის მოსავალი დააზიანა. მოვარდნილმა ნიაღვარმა ნათესები წაიღო. ამ ყველაფრის მიუხედავად, მინდვრები მაინც უხვ მოსავალს გვპირდებიან. ახლა ყველა დროს ეშურება. შემდეგი 10 დღის ამინდის პროგნოზი საიმედოა და ნალექს არ ითვალისწინებს, თუმცა რას გაიგებ „ბუნება მბრძანებელიაო“ დაგვმოძღვრა დიდმა ვაჟამ და ჩვენც მუდამ შიშით შევყურებთ მის „კაპრიზს“ და საქმეს ვეშურებით. საშურია , ნამდვილად საშური და ხალხიც ჩქარობს, რაც შეიძლება მალე დააბინავოს მოსავალი, რადგან „მოსავალი ის არის, რაც ბეღელშიაო“. ახლა მთავარია, ტექნიკა იყოს საკმარისი.ჯერ-ჯერობით, ვიდრე მარტო ქერის აღებას ეშურება ხალხი, კომბაინები საკმარისია, სატვირთო მანქანებიც არის. კერძო ტექნიკა ბირჟებზე დგას, შპს „მექანიზატორის“ კომბაინებიც მზად არიან. ჩვენ „მექანიზატორის“ დირექტორს **დავით გონაშვილს** ვესაუბრეთ:

-დავით, ალოობა დაიწყო, როგორი მომზადებული შეხვდით სოფლის მეურნეობის დარგის ამ კამპანიას, რამდენი კომბაინი გაქვთ მზად?

-დიახ, ძირითადად ქერის აღება მიმდინარეობს, ჩვენ ყოველმხრივ გამართული ტექნიკა გვაქვს, ახალი თაობის და უმაღლესი ტექნიკური შესაძლებლობების მქონე. 26 კომბაინი მუშაობს. ამას ემატება ჩვენს მიერ სხვა რაიონებიდან დახმარებაზე ჩამოყვანილი 7 კომბაინიც. თუ საჭირო გახდება, კიდევ შეგვიძლია ჩამოვიყვანოთ, მთავარია, ამინდმა ისევ არ გვიმტყუნოს.

-რა ღირს ჰექტარი ყანის მომკა?

-საჰექტარო მომსახურების ზღვრული ფასი 80 ლარიდან 90 ლარამდეა იმის მიხედვით, რამდენია ასაღები ფართობი. რაც უფრო მეტია ჰექტრების რაოდენობა, უფრო ნაკლებია ფასი.

-რით ახსნით იმ ფაქტს, რომ პრეისკურანტი, რომელიც „მექანიზატორის“ დაარსებისას შედგა, თითქმის არ შემცირებულა. არადა, მასში თავისი წილი საწვავსაც უჭირავს. მაშინ საწვავი 2,40 ლარი ღირდა, ახლა კი 1,40 ლარია, თუმცა, ფასის გადახედვა არ მოხდა.

-იცით, ასე მარტივად არ დგას საკითხი. ჩვენი ტექნიკა ევროდიზელზე მუშაობს, რომლის ფასიც, ჩვეულებრივ დიზელთან შედარებით, მაღალია. ამასთან, უკვე რამდენი წელია, ეს ტექნიკა გვემსახურება. მათ უკვე სათადარიგო ნაწილები სჭირდება, მომსახურების ხარჯები და აღარც იმდენი სხვაობა აქვს კერძო მომსახურებასთან შედარებით. სამაგიეროდ ჩვენი კომბაინები უდანაკარგოდ და ხარისხიანად იღებენ მოსავალს, მათთვის სიძნელეს არ წარმოადგენს ჩაწოლილი ყანა, სწრაფია და დროში არ იწელება. გვესმის, რომ ხალხის დიდ ნაწილს უჭირს ამხელა თანხის გადახდა, მაგრამ სხვას ვერაფერს ვთავაზობთ. ალტერნატივაც ხომ არსებობს კერძო ტექნიკის სახით. ვისაც როგორ უღირს, იმით უნდა ისარგებლოს.

ასეა, ბატონი დავითის პასუხი ცალსახაა, ის სახელმწიფო სტრუქტურაა და შეღავათების დაწესება მისი პრეროგატივა არ გახლავთ. თუ სადმე მადლიან კაცს წააწყდით, ან ნაცნობ-ნათესავი გყავთ და იაფად მოგემსახურათ, თუ კერძო ტექნიკამ არ გიმტყუნათ და ნაკვეთში ჩამდგარი კომბაინი დღეში სამჯერ არ გაგიტყდათ, ჩათვალეთ რომ ბედმა გაგიღიმათ. ასეთია დღევანდელი რეალობა. ბარაქიან აალობას გისურვებთ.

ნაირა გორაშვილი

წარმატებისთვის უფლისგან ნაბოძებ ნიჭს შრომა უნდა დაუმატო

დალი ელისაშვილის საანგარიშო კონცერტი

საქართველოს ბავშვთა და ახალგაზდული საგუნდო კოლექტივების II ეროვნულ კონკურსში, რომელიც საქართველოს საგუნდო საზოგადოების ინიციატივით და ორგანიზებით ჩატარდა, ჩვენი რაიონიდან რამოდენიმე გუნდი ღებულობდა მონაწილეობას. სიამაყით უნდა ვთქვათ, რომ თითოეულმა მათგანმა სერიოზული წარმატებები მოიპოვა. ერთ-ერთი მათგანი კულტურის სახლთან არსებული ქალთა ანსამბლი „მანდილია“, რომელსაც გამოცდილი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი დალი ელისაშვილი ხელმძღვანელობს. კონკურსზე გუნდი წარსდგა შემდეგი შემადგენლობით: ანა და მარიამ ლოლაშვილები, ანასტასია და ლიზი ყოჩიაშვილები, თამთა ფეიქრიშვილი, თეონა ჯალიაშვილი, მალვინა ისმაილოვა. მათ მონაწილეობა მიიღეს ხალხური სიმღერის კატეგორიაში და ლაურეატის წოდება და პირველი ადგილი დაიმსახურეს. ანსამბლი „მანდილი“ დიდი ხანია, დედოფლისწყაროელი მსმენელისათვის საყვარელ შემსრულებლად იქცა და მათი ყოველი გამოსვლა გულწრფელი აპლოდისმენტებით ფასდება.ამ აღიარებას მათ ქალბატონი დალი ელისაშვილის თავდაუზოგავი შრომით მიაღწიეს, რომელიც ყველაფერს აკეთებს რაიონში ხალხური სიმღერისა და ფოლკლორის აღორძინებისათვის. ის გოგონებთან ერთად ვაჟების გუნდსაც ხელმძღვანელობს და ძალისხმევას არ იშურებს მათი წარმატებისთვის. ამის დასტურია ამ დღეებში ჩატარებული დალი ელისაშვილის საანგარიშო საღამო, რომელმაც დიდი სიამოვნება მიანიჭა მსმენელს.გოგონების და ვაჟების მიერ შესრულებულმა სხვადასხვა კუთხის ურთულესმა სიმღერებმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა მსმენელი, რომ ჩვენს რაიონში გამორჩეული ყურადღება ექცევა ფოლკლორის შენარჩუნებას და ხალხური სიმღერის განვითარებას.

ამ საქმეს ემსახურება მომღერალთა კიდევ ერთი ჯგუფი სახელწოდებით „დები ლოლაშვილები.“ ლიკა, მარიამ და ანა ლოლაშვილები II ეროვნულ კონკურსზე წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალის სახელობის სკოლა-ინტერნატის წარდგინებით მონაწილეობდნენ. მათი ხელმძღვანელი ნინო ნიკვაშვილი გახლავთ. ამჯერად, დებთან სამუშაოდ დრო ლოტბარმა გიორგი ცერცვაძემაც გამონახა და გოგონებს რეპერტუარის შერჩევასა და დახელოვნებაში დაეხმარა. ხელმძღვანელთა მცდელობამ და გოგონების ნიჭიერებამ შედეგიც შესაბამისი გამოიღო.მათ ორ კატეგორიაში ხალხურ სიმღერასა და გალობაში მიიღეს მონაწილეობა. მათ შეასრულეს ქართლ-კახური ხალხური სიმღერა „მე რეგვენმა პატარძალმა“ და ურთულესი გურული სიმღერა „ ჩვენ მშვიდობა“, საგალობლებიდან კი - „მოვედით თაყვანი ვსცეთ“ და აღდგომის ტროპარი IV ხმის „ბრწყინვალე იგი“. დებმა ჟიურის დიდი მოწონება დაიმსახურეს ორივე კატეგორიაში. გამორჩეულად მაღალი შედეგი აჩვენეს გალობაში. მათ ლაურეატის წოდება, პირველი ადგილი და „ოქროს მედალი“ მოიპოვეს. მოგვიანებით კი გაიგეს, რომ მათ ფულადი ჯილდო 600 ლარიც ერგოთ.

გოგონებთან შეხვედრა და გასაუბრება გადავწყვიტე. რედაქციაში მხოლოდ ანა მოვიდა. ლიკას და მარიამს საპატიო მიზეზი აქვთ, რადგან ლიკა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს და მეორე კურსზე გადადის, მარიამმა კი დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა დაამთავრა და ეროვნული გამოცდებისთვის ემზადება. ანასთან საუბარი საინტერესო აღმოჩნდა:

– ანა, პირველ რიგში შენი ოჯახის და გენეტიკის შესახებ გვიამბეთ.

– საკმაოდ დიდი ოჯახი მაქვს. პაპაჩემი ბიჭიკო და ბებია ლილი პენსიონერები არიან და, ძირითადად, საოჯახო საქმეებს აგვარებენ, მშობლები ზაზა და ნინო მოსამსახურეები არიან.ოთხი დედმამისშვილი ვართ, ოთხივე გოგო, ისე რომ, ოჯახში გენდერული ბალანსი ჩვენს მხარეზეა, თუმცა, ჩვენი მამაკაცების სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.რაც შეეხება გენეტიკას და ჩვენს სიმღერის უნარს, ნამდვილად ფესვებიდან მოდის: პაპაჩემი – ბიჭიკო ლოლაშვილი მთელი თავისი ცხოვრება სცენაზე იდგა და ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციას ემსახურებოდა. სიმღერასთან ერთად შესანიშნავად ცეკვავდა კიდეც. ზოგადად, არტისტული პიროვნებაა. მღეროდნენ ჩემი ბებია და მისი დები დედის მხრიდან. მღერიან ჩემი მშობლებიც. გამორჩეულად დედა, რომელსაც მრავალი სპეციალობა აქვს. მან ჯერ ტექნიკურ უნივერსიტეტში წყალმომარაგება-ეკოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ სახელოვნობო სასაწავლებელში ხელოვნებათმცოდნეობა და რელიგია. ამჟამად №2 საჯარო სკოლაში რელიგიას ასწავლის, პარალელურად კი საბავშვო სტუდია „არლეკინოს“ ხელმძღვანელობს. ისე რომ, მასაც გენეტიკურმა ფაქტორმა გადასძალა და თავს კულტურაში მუშაობისას უფრო კომფორტულად გრძნობს. მე, ლიკა და მარიამი ბავშვობიდან სცენაზე ვდგავართ და ვმღერით. უფროსი და – ქრისტინეც მღერის, მაგრამ ისე, საოჯახოდ. ჩვენგან სტუმარი მუდამ კმაყოფილი მიდის, რადგან მოლხენა ჩვენი ტრადიციული ჟესტია.

– ანა, შენ და მარიამი კულტურის სახლთან არსებულ ქალთა ანსამბლ „მანდილის“ წევრებიც ხართ. რას იტყვით ამ ანსამბლის შესახებ?

– „მანდილში“ ჩვენ მისი დაარსების დღიდან ვმღერით სხვა, ძალიან კარგ გოგონებთან ერთად. ანსამბლი წარმატებულია და ეს მისი ხელმძღვანელის ქალბატონ დალი ელისაშვილის დამსახურებაა.მას დიდი ამაგი აქვს ჩვენზე და, ზოგადად, რაიონში ფოლკლორის შენარჩუნებასა და განვითარებაზე. ჩვენ მასთან ავიდგით ფეხი და მან მთელი ჩვენი შესაძლებლობის გამოვლენის საშუალება მოგვცა. სისხლის ფასად შემონახულ ამ ჩვენს საგანძურს ის თავდაუზოგავად ემსახურება. ის ჩვენთვის მისაბაძი მაგალითია. მარტო ნიჭით შედეგს ვერ მიაღწევ. დალი მასწავლებელმა კი ჩვენ შრომა და მოთმინება გვასწავლა, რისთვისაც მადლიერი ვართ მისი.

– თქვენ ხალხურ სიმღერასთან ერთად გალობთ კიდეც. ამის შესახებ გვითხარით.

– უკვე 6 წელია, ვგალობთ. არასოდეს დაგვავიწყდება პირველი გალობა 2010 წელს ზემო მაჩხაანის წმინდა გიორგის თავის კვეთის ეკლესიაში გიორგობის დღესასწაულის ღამისთევაზე. ამის შემდეგ მეუფემ დედოფლისწყაროს სამლოცველო სახლის მგალობლებად დაგვნიშნა მე, ჩემი და მარიამი, ანა ხუმარაშვილი, თეონა ბენაშვილი, სოფიო მენთეშაშვილი და ქეთი ჩაფიაშვილი. გოგონების უმრავლესობამ საჯარო სკოლა უკვე დაამთავრა. ამიტომ, ჩვენთან ერთად უმცროსებიც გალობდნენ, რომლებიც ესტაფეტას ღირსეულად გადაიბარებენ. გალობა კი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი არის და იქნება სულ მუდამ. ეკლესია მხოლოდ ზნეობრივს და დადებითს გვასწავლის, რწმენა არის ის ქვაკუთხედი, რაზეც უნდა ავაგოთ ჩვენი ცხოვრება.

– სწორედ გალობის კატეგორიაში მოიპოვეთ თქვენ ოქროს მედალი. რას იტყვი ამ კონკურსის შესახებ?

– ამ კონკურსმა ჩვენ დიდი გამოცდილება შეგვძინა და ძალიან გაგვახარა, რადგან ჟიურის ასეთი მაღალი კომპეტენციის მქონე წევრთა უმაღლესი შეფასების მიღება პატარა საქმე არ არის. მნიშვნელოვანია ის, რომ ჟიური შეფასებასთან ერთად ქორმეისტერებს ინდივიდუალურად ესაუბრებოდა, აძლევდა შენიშვნებს, რჩევებს და უზიარებდა გამოცდილებას. იყო ობიექტური და ჯანსაღი გარემო. შევიძინეთ ბევრი მეგობარი.

– ანა, თქვენ რამდენიმე ხანს ბავშვთა გასართობ ცენტრ „ლაბირინთში“ დიჯეებად მუშაობდით. რა მოგცათ ამ საქმიანობამ?

– ვიცით, რომ ამ სამსახურში თქვენი რეკომენდაციით მიგვიღეს, რისთვისაც დიდად მადლიერნი ვართ. ეს იყო ჩვენი შემოქმედებითი უნარის გამოვლენის კარგი ასპარეზი. ჩემი და მარიამი არა მარტო მღერის, არამედ მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭითაა დაჯილდოვებული. მისი „ხელმძღვანელობით“ კარგად გამოგვდიოდა ჩვენი მოვალეობის შესრულება. ეს დიდი გამოცდილება იყო ჩვენთვის, ამასთან, გარკვეული ეკონომიკური გამონათებაც, რადგან არა მარტო ჩვენი „ჯიბის ფული“ გაგვიჩნდა, ოჯახისთვის კი შევიძინეთ რაღაც-რაღაცა ნივთები. დროში ვეღარ ვეტეოდით და ამიტომ მოგვიხდა ამ სამსახურის დატოვება, რაზეც დღესაც გვწყვდება გული. „ლაბირინთის“ მეპატრონეები მარინა ცხვედიაშვილი და ბიძინა პაპაშვილი, ძალიან კეთილი და კონტაქტური ადამიანები არიან. სულ მუდამ გვემახსოვრება ჩვენი პირველი სამსახური.

– ანა, უფროსმა და – ქრისტინამ ბიზნეს-ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა, ლიკა კავკასიოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს. არ აპირებთ რომელიმე კულტურის დარგის სამსახურში ჩადგეთ?

– აუცილებლად. მარიამი ახლა აბიტურიენტია და კულტურის კვლევის საკითხებითაა დაინტერესებული. ამ კუთხით კონკრეტულ სფეროს შეარჩევს და სწავლას გააგრძელებს. რაც შემეხება მე, უკვე ორი წელია, ვსწავლობ დედოფლისწყაროს ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობის და ხალხური სიმღერის შემსწავლელ სკოლაში, რომელიც ამზადებს მოსწავლეებს გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლესი სასწავლებლისთვის. იქ პროფესიულ დონეზე ამზადებენ ლოტბარებს როგორც ხალხურ სიმღერაში, ასევე გალობაში. მე მინდა, კარგი სპეციალისტი გამოვიდე და ჩემი ცოდნა მომავალ თაობაში ჩავდო. ამისთვის საძირკველს გვიმარაგებს ჩვენი მასწავლებელი გელა გველუკაშვილი. სულ მახსოვს, რომ უფლისგან ნაბოძებ ნიჭს თავდადებული შრომა უნდა დაუმატო, თუ გინდა რომ წარმატებული იყო.

ესაუბრა ნაირა გორაშვილი

დო მაჟორიდან – სი ბემოლამდე

ამ დღეებში დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში 2015-2016 სასწავლო წლის აკადემიური კონცერტი გაიმართა. გალა კონცერტში მონაწილეობდნენ წლის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები, რომლებიც მათი პედაგოგების მიერ იყვნენ ინდივიდუალურად შერჩეულნი. კლასიკური მუსიკის პარალელურად კონცერტზე შესრულდა აკადემიური საგუნდო სიმღერები პედაგოგ მარიკა პირზადოვას და კონცერტმეისტერ ნინო სვანიძის მოსწავლეების მიერ. კლასიკოსების-კოსენკოს, ვებერის, რებიკოვის, ტურიაშვილის, შოპენის, მაიაკოვსკის, ბახის, შუმანის, ყანჩელის, გრეჩანინოვის, გლინკას ნაწარმოებები არაჩვეულებრივად შეასრულეს პედაგოგების ნინო ლაპიაშვილის, დალი ხუციშვილის, თამილა ნადირაშვილის, ლია ხაჩიაშვილის, ნინო ალადაშვილის, ხათუნა ფიროსმანაშვილის, მარიამ კიკილაშვილის, ოლია მუჩიაშვილის, მანანა მაჭარაშვილის, დარეჯან შანშაშვილის მოსწავლეებმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები, ქალაქის საჯარო სკოლების პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები და გულშემატკივრები, რომლებმაც კიდევ ერთხელ არჩვეულებრივი სიამოვნება მიიღეს ნიჭიერი ბავშვების მიერ შესრულებული კლასიკური მუსიკის კონცერტისგან.

გვირილის ჩაი ქალებს ნაადრევი სიკვდილისგან იცავს – მეცნიერების 7-წლიანი კვლევის შედეგი

გვირილა მთელ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული სამკურნალო მცენარეა. მას სხვადასხვა დაავადების დროს იყენებენ, როგორც ეფექტურ სამკურნალო საშუალებას. ტეხასის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა მრავალწლიანი საინტერესო გამოკვლევა ჩაატარეს. 7 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ 1677 მექსიკელ ემიგრანტს, იუწყება - თჰე Daილy Mაილ.

კვლევაში მონაწილე მოხალისეების 14 % გვირილის ჩაის მოყვარული იყო და მას რეგულარულად მიირთმევდა. დაკვირვებამ აჩვენა, რომ გვირილის ჩაის რეგულარულად გამოყენებამ 29 %-ით შეამცირა სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული სიკვდილიანობის რისკი ქალებში. მამაკაცებს შორის ასეთი ეფექტი არ შეინიშნებოდა. ამის მიზეზი უცნობია, თუმცა, საზოგადოდ, ქალები უფრო ხშირად სვამდნენ გვირილის ჩაის, ვიდრე მამაკაცები. დაკვირვების პროცესში სპეციალისტების მიერ გათვალისწინებული იყო შედეგებზე მოქმედი ყველა ფაქტორი - მოხალისეთა ცხოვრების წესი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ქრონიკული პათოლოგიები და სხვ.

მკვლევარებს ჯერ კიდევ არ აქვთ კონკრეტული პასუხი კითხვაზე, რატომ არის ასე სასარგებლო გვირილის ჩაი ქალებისათვის. თუმცა, უკანასკნელი კვლევები ადასტურებს, რომ ეს სასმელი აქვეითებს შაქრის დონეს სისხლში, კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს კუჭ-ნაწლავის პრობლემებისას, შაქრიანი დიაბეტის გართულებებისა და შფოთვა-განგაშით მიმდინარე პათოლოგიური მდგომარეობების დროს. გარდა ამისა, გვირილას გააჩნია ანტიოქსიდანტური, ანტიბაქტერიული, ანთების საწინააღმდეგო, ანტითრომბოციტული თვისებები და, ამასთან, აქვეითებს ქოლესტერინის დონეს სისხლში.

მეხსიერებასთან დაკავშირებული 5 უჩვეულო ფაქტი

მეხსიერება ურთულესი და მეტად საინტერესო ფენომენია. ნეირომეცნიერები მთელ მსოფლიოში არ წყვეტენ მისი ცალკეული ასპექტების საფუძვლიან შესწავლას. ზოგი რამ უკვე გარკვეულია, ზოგიც კვლევის ფაზაშია. გთავაზობთ მეხსიერებასთან დაკავშირებულ ხუთ უჩვეულო ფაქტს, რომლებსაც ნეირომეცნიერთა საინტერსო ახსნა-განმარტება ახლავს თან.

1. ახალი რომ დავიმახსოვროთ, ჯერ ძველი უნდა დავივიწყოთ, - უახლეს კვლევებზე დაყრდნობით აცხადებენ მეცნიერები. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ნეიროფიზიოლოგთა განმარტებით, ინფორმაციის დასამახსოვრებლად მხოლოდ ყურადღება არ კმარა - უახლესი კვლევები მოწმობს, რომ ამისთვის მეხსიერების "ჩართვაა" საჭირო.

2. ადამიანმა, თუ შემოწმებას არ მოელის, შესაძლოა მყისიერად დაივიწყოს ახალი ინფორმაცია, საგულდაგულოდ, ყურადღებით მოსმენილიც კი. კვლევის ერთ-ერთი ავტორი, დოქტორი ბრედ უაიბლი, აცხადებს: "საზოგადოდ, მიჩნეულია, რომ თუ რამემ დაგვაინტერესა და ყურადღება მივაქციეთ, მას აუცილებლად დავიმახსოვრებთ, თანაც - წვრილმანი დეტალებითურთ, თუმცა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ყოველთვის ასე არ ყოფილა. აღმოჩნდა, რომ ადამიანი, თუ დარწმუნებული არ არის, რომ შეამოწმებენ, უმეტესად ვერაფერს იმახსოვრებს - არათუ წვრილმან, მსხვილმან დეტალებსაც კი. როდესაც ვიცით, რომ შემოწმება გველის, დამახსოვრების პროცესი თურმე 2-3-ჯერ უფრო ხარისხიანად მიმდინარეობს".

3. კლასიკური მუსიკა მეხსიერებას აუმჯობესებს. კლასიკური ნაწარმოების მოსმენა აქტიურებს დასწავლასა და დამახსოვრებასთან დაკავშირებულ გენებს და, იმავდროულად, აქვეითებს ნეიროდეგენერაციულ პროცესებზე პასუხისმგებელი გენების აქტივობას. ეს დასკვნა მეცნიერებმა იმ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოიტანეს, რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანის გენომში გენების ტრანსკრიფციაზე (ცილების სინთეზის პროცესზე) მუსიკის გავლენის შესწავლას.

4. დღის ძილი, თუნდაც ერთ საათზე ხანმოკლე, მეხსიერებას ხუთჯერ აუმჯობესებს. ამ დასკვნამდე მეცნიერები მივიდნენ სპეციალური ექსპერიმენტის შემდეგ. მოხალისეები მათ ორ ჯგუფად დაყვეს და დაავალეს, დაემახსოვრებინათ ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვები. ამის შემდეგ ერთი ჯგუფი 45-60 წუთით დასაძინებლად მიდიოდა, მეორე კი ვიდეოს უყურებდა. შემდეგ იწყებოდა მოხალისეთა მეხსიერების შესწავლა-ანალიზი. აღმოჩნდა, რომ პირველ ჯგუფში (გამოძინებულებს) ახალი ინფორმაცია გაცილებით ნაკლებად ავიწყდებოდათ.

5. უნდა გაათავისუფლოთ მეხსიერება უსარგებლო მოგონებებისგან. კვლევებმა აჩვენა, რომ როდესაც ადამიანი "არქივში გადაისვრის" უსარგებლო (თუნდაც დროებით არასაჭირო) ინფორმაციას, სულ უფრო მეტად უჭირს მისი გახსენება. სამაგიეროდ, კარგად იმახსოვრებს ახალს. სავარაუდოდ, როდესაც ტვინმა იცის, რომ ინფორმაცია საიმედოდაა დაცული, სხვა ამოცანებისთვის გარკვეულ რესურსებს თამამად ათავისუფლებს.

კვლევის ავტორი ბენჯამინ შტორმი განმარტავს: "ჩვეულებრივ, მიგვაჩნია, რომ რაღაცის დავიწყება მეხსიერების ცუდი მუშაობის შედეგია, თუმცა, მეცნიერული კვლევები ცხადყოფს, რომ დავიწყება სასიცოცხლოდ აუცილებელია აზროვნებისა და მეხსიერების ნორმალური ფუნქციობისთვის. ერთის გახსენებით ჩვენ მეორეს ვივიწყებთ. ნეირომეცნიერები დიდი ხანია ვარაუდობდნენ, რომ მოგონებებს შეუძლიათ, ერთმანეთს კონკურენცია გაუწიონ მეხსიერების რესურსების დასასაკუთრებლად. დღეს ეს ვარაუდი დადასტურდა. ჩატარდა ტვინის სპეციალური სკანირება, რომელზე დაყრდნობითაც კვლევის ავტორებმა დაასკვნეს, რომ მეხსიერების რესურსებისათვის კონკურენცია მეტად სასარგებლო მექანიზმია, რომელიც ადამიანის ტვინს საშუალებას აძლევს, გამოყოს საჭირო და აუცილებელი მოგონება სხვა უამრავი მსგავსისაგან".

როგორც ხედავთ, მეტად საინტერესო ფაქტები და განმარტებებია!

ირმა ჩიტაური

20 ივნისს შენი დაბადების დღეა, ირმა. 39 წლის გახდებოდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ქვეყნად ვერ აღნიშნავ მას. სულ რაღაც 38 წლის მანძილზე, ცხოვრების ბევრი უსამართლობა საკუთარ თავზე გადაიტანე - შენი სილამაზე შენივე მტერი აღმოჩნდა... ძალადობრივი გზით შექმნილი ოჯახი მალევე დაინგრა და ერთადერთი შვილით ხელში დარჩი. გოგონას ბევრი რამ სჭირდებოდა, ამიტომ ეკონომიური პრობლემების მოსაგვარებლად საბერძნეთში წახვედი... რამდენიმე წლის შემდეგ შენი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა - იქ მოსიყვარულე მამაკაცს შეხვდი, რომელმაც შენი გარეგნობაც დააფასა და პიროვნული თვისებებიც, მაგრამ, სამწუხაროდ შენი ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა - უკურნებელმა სენმა მოგისწრაფა სიცოცხლე. დააობლა შენი ანა და შვილიშვილი ლუკა, საშინლად ატკინა გული მშობლებს, დედმამიშვილებს. შენმა ბერძენმა მეუღლემ ვერ გაგიმეტა განშორებისთვის და სამუდამო განსასვენებელი საბერძნეთში დაიდე.

20 ივნისს ვერ მოვალთ შენს საფლავთან, რადგან შენი სამუდამო განსასვენებელი საქართველოს საზღვრებს სცილდება, მაგრამ სულიერად შენთან ვიქნებით, ჩვენო ძვირფასო შვილო.

ამ დღეს დავანთებთ სანთელს და შენს სულს შევავედრებთ უფალს, რათა სასუფეველი დაგიმკვიდროს.

მშობლები: გურამ და ციური ჩიტაურები

იყიდება!

იყიდება ბინა ბელეტაჟზე ავეჯით და ავეჯის გარეშეც დედოფლისწყაროში, ცხრა აპრილის ქ. N69, ცენტრთან ახლოს. ფასი შეთანხმებით.

579 15 20 87

რძალი ციცო, ბიძაშვილის შვილები: გელა, თამარი, ილია ჯორკოშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა „სანეპიდსადგურის" ღვაწლმოსილი მუშაკი

ნათელა ჯორკოშვილი

დაიკრძალა 14 ივნისს, ქ. დედოფლისწყაროში.

გახსენება

ილიკო შარვაძე

მიდიან დღეები, არ ჩერდება დრო, შენა ხარ მთელი ჩემი სამყარო. ჩემო ტკივილო, ილიკო, მეოთხედ მოვიდა უშენოდ შენი დაბადების დღე, მეოთხე ცრემლიანი, ნაღვლიანი, გაცრეცილი 21 ივნისი, დღე, რომელიც ზეიმით თენდებოდა და ღამდებოდა ჩვენს ოჯახში. ერთ დროს ბედნიერ ოჯახში სევდამ და მწუხარებამ დაისადგურა. შენი უბედური დედა გილოცავს დაბადების 42 წლისთავს. ძალიან მიჭირს უშენობა, გული მონატრებით და ტკივილით მაქვს სავსე, შენ კი შენს უსაყვარლეს მამასთან ხარ ზეციურ სასუფეველში და იქ ერთად შეხვდებით შენს დაბადების დღეს.

რამხელა საშინელება არის, როცა შვილმკვდარი დედა იგონებს შვილის დაბადების დღეს, მგონია, ზაფხულთან ერთად შენც მოხვალ დედასთან, ჩემო დედისერთა ბიჭო. მკაცრი და დაუნდობელი გამოდგა ეს ცხოვრება შენთვის, რომ ოჯახის ერთადერთ იმედს, ასე გიმუხთლა ბედმა, რამდენი აუხდენელი ოცნება გაიყოლე მარადისობაში, ღმერთმა დაგაჯილდოვა გარეგნობით და რა იქნებოდა, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობაც მოეცა შენთვის ჯილდოდ. ძალიან ძნელია, ერთადერთი შვილის გარეშე ცხოვრება, ჯოჯოხეთია, უშენობას ვერ მოვერიე, მხოლოდ შენთან შეხვედრის მოლოდინით ვცოცხლობ, არ გეცოდები, შვილო?! შენი დედისთვის სანატრელი გახდა ძვირფასი სიტყვის გაგონება „დედა". როდის მიხმობ შენთან, შვილო, როდის?! ყველა ისევ გიხსენებს და გილოცავს დაბადების დღეს ჩემო მარად „ბიჭობაში" დარჩენილო. ამის გამო, ყველას მადლობას უხდის შენი უბედური დედა, მძიმეა ჩემთვის ეს ცხოვრება, მძიმეა, რადგან შენს მონატრებას ვერაფერი შველის, ულმობელია წუთისოფელი, რაც წავიდა უკან არასოდეს დაბრუნდება, მხოლოდ დარდად და მოგონებად გადაიქცევა. ყოველ სიტყვას თან მოსდევს შენი სახელის ხსენება, ჩემო ილიკო, მე სურათზე გაქვავებული ღიმილის ყურება მიმძიმს, მე შენ მჭირდები, მხოლოდ შენ. დიდი მწუხარება ისევე სიტყვაძუნწი ყოფილა, როგორც დიდი სიხარული. ტკივილი ადამიანს არ კლავს, ტანჯავს და სიცოცხლეს უმწარებს. შენმა წასვლამ სიცოცხლე გამიმწარა და ცხოვრება დამინგრია, მე უშენოდ არარაობა ვარ, სამარის კართან მარტოდ დარჩენილი. წარმოუდგენლად ძნელია ჩემთის შენს საფლავზე მოსვლა, მაგრამ მოვალ, რა ვქნა, თავს ზევით ძალა არ მაქვს, მოვალ და დაგინთებ 42 სანთელს, იქნებ როგორმე გაგითბო ეგ სიყვარულით სავსე გული, იქნება ძველებურად შეარხიო მხრები ლამაზად, წამოიწიო, რომ დედამ წამიერად მაინც შეგავლოს თვალი მონატრებულ შვილს. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, ვიდრე ვიცოცხლებ, ჩემთვის დრო როგორ შეიძლება მკურნალად იქცეს, მე შენმა წასვლამ გამანადგურა, დრო ვერ განკურნავს უდიდეს ტკივილს, შენ ჩემთან ხარ და იქნები მუდამ და თუკი სული უკვდავია, იმქვეყნად ყველას გარდაუვალი შეხვედრა გველოდება. სამარადოსოდ გაგინათოს სასუფეველი ჩემმა დანთებულმა სანთლებმა და უფალმა სიმშვიდე დაუმკვიდროს შენს სულს ჩემო სულითაც და ფიზიკურადაც ლამაზო ბიჭო. ნათელი იყოს ჩვენი მომავალი გზა და ბედნიერი იყოს ჩვენი შეხვედრა.

შენი მონატრებული დედა ნათელა იაკობიშვილი – შარვაძე

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით

1. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი	საწყისი საპრივატიზებო ფასი(ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასის (ლარებში)	„ბიჯი“ საწყისი ფასის (ლარებში)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი. სოფელი გამარჯვება	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.05.32.028	80 კვ.მ.	800	10%	5%	100
2	ქალაქიდედოფლისწყარო. ჰ. გონაშვილის ქუჩა N3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.08.33.144	25 კვ.მ.	550	10%	5%	100
3	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი ზემო ქედი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული საცხოვრებელი კორპუსი	52.09.33.004	1132 კვ.მ. (განაშენიანების ფართი 784 კვ.მ)	22000	10%	5%	100
4	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი არხილოსკალო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	52.10.31.099	786 კვ.მ (განაშენიანების ფართი 139.92 კვ.მ)	1200	10%	5%	100

2. აუქციონზე სარგებლობის უფლებით (იჯარით) 10 (ათი) წლის ვადით გადასაცემად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი	ქირის წლიური საფასური (ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასის (ლარებში)	„ბიჯი“ საწყისი ფასის (ლარებში)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი. სოფელი ხორნაბუჯი (ბალკა)	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საძოვარი)	52.31.31.001	800 000 კვ.მ	2240	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ან იმ პირთა გაერთიანებას რომლის ქონებაშიც, საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური. ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

საჯარო აუქციონი პირველ ლოტზე გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 14 00 სთ-ზე, მე-2 ლოტზე -1415 სთ-ზე; მე-3 ლოტზე -1430 სთ-ზე; მე-4 ლოტზე -1445 სთ-ზე;

საჯარო აუქციონი სარგებლობის უფლებით (იჯარით) ქონების გადასაცემად გაიმართება 1500 სთ-ზე;

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.

საჯარო აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადს, დადგენილი ფორმის მიხედვით;

2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222;

- კოდი - 300533390 (არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი),
- კოდი - 300533325 (არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით);
- კოდი - 300533047 (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საძოვარი) იჯარა);

3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ გადაეცემა აუქციონზე დასწრების ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40
საუქციონო კომისია

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 20.06		სამშაბათი 21.06		ოთხშაბათი 22.06		ხუთშაბათი 23.06		პარასკევი 24.06		შაბათი 25.06		კვირა 26.06	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	24 °	22 °	25 °	22 °	24 °	22 °	24 °	22 °	23 °	21 °	20 °	20 °	19 °	20 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.